

თამარ დემეტრაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ნათია ღუნდუა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

სპარსული რთული ზმნების ინტერფერენტული პროცესები ფერეიდნულ დიალექტში

აბსტრაქტი

მოცემულ კვლევაში განიხილება ფერეიდნული დიალექტის ფორმირება და განვითარება სპარსულენოვან გარემოში. ანალიზი ეფუძნება ზმნურ ფორმებსა და რთული ზმნების სესხების შემთხვევებს, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს ინტერფერენტუის მრავალსაფეხურიან პროცესს. ნაჩვენებია, როგორ ინარჩუნებს დიალექტი ქართველური ენების ძირითად მახასიათებლებს და ამავდროულად იძენს სპარსულისგან მიღებულ სტრუქტურულ ნიშან-თვისებებს.

საკვანძო სიტყვები: *ფერეიდნული დიალექტი; სპარსული გავლენა; რთული ზმნები; ენობრივი ინტერფერენცია; ქართველური ენები*

ფერეიდნული დიალექტი უნიკალურ ენობრივ კუთხულს წარმოადგენს, რომელიც ირანის ისლამურ რესპუბლიკაში თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში ფუნქციონირებს სრულად სპარსულენოვან გარემოში. მისი არსებობა ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებული შემთხვევაა, ვინაიდან დიალექტი ინარჩუნებს ქართველურ ენათა ოჯახისთვის არსებით მახასიათებლებს უცხოენოვან, მთლიანად სპარსულ კონტექსტში.

ქართული (ქართველური ენათა ოჯახი) და სპარსული (ირანული ენათა ოჯახი) სრულიად განსხვავებულ ენათა სისტემებს მიეკუთვნება. მიუხედავად ტიპოლოგიური განსხვავებებისა, საქართველოსა და ირანს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებული პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ურთიერთობები საფუძველს ქმნიდა ინტენსიური ენობრივი კონტაქტებისთვის. სწორედ ამ კონტაქტებმა განაპირობა ლექსიკური ფენის მნიშვნელოვანი გამდიდრება.

ქართულ ენაში სხვადასხვა ეპოქაში დამკვიდრდა ირანული ნასესხობები: ძველი (ავესტური, ძველი სპარსული, მიდიური, სკვითურ-სარმატული),¹ საშუალო (პართული, საშუალო სპარსული)² და ახალი (ახალი სპარსული) ირანული ენებიდან. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ახალი სპარსულის გავლენა,

¹ მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I (თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა, 1966): 11-57.

² ანდრონიკაშვილი, ნარკვევები: 159-517.

რომელიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ინტენსიურად აისახა ქართული ენის ლექსიკურ სისტემაზე.

კვლევის მიზანია ფერეიდნულ ტექსტებში ფიქსირებული ზმნური ფორმების საფუძველზე სპარსული გავლენების გამოვლენა და მათი ფუნქციურ-სტრუქტურული ანალიზი; რთული ზმნების მაგალითზე იმ ენობრივი ტრანს-ფორმაციების შესწავლა, რომლებიც ვითარდება ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში სხვა ტერიტორიულ და ირანულენოვან გარემოში არსებობის პირობებში.

საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გამო მე-17 საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტს, კახურს, გამოეყო და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა ფერეიდნული დიალექტი. მისი გრამატიკული სისტემა არსებითად ემთხვევა დედადიალექტის სტრუქტურას, რის გამოც იგი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტთა ჯგუფში განიხილება. თუმცა, მრავალსაუკუნოვანი ენობრივი იზოლაციის პირობებში ფერეიდნულმა დიალექტმა შეინარჩუნა რიგი რელიქტური ნიშნები – ენობრივი თავისებურებები, რომლებიც მე-17 საუკუნეში კახურს ახასიათებდა, მაგრამ შემდგომში თავად კახურმა დაკარგა.³

დიალექტი, რომელიც მონათესავე ქვესისტემებისგან იზოლირებულად ვითარდება, უცხოენოვან გარემოში მაინც განაგრძობს არსებობასა და ცვლილებას თავისი შინაგანი კანონების შესაბამისად – იმ ენის კანონების მიხედვით, რომლის ქვესისტემასაც ის წარმოადგენს.⁴ სწორედ ეს ვითარება ახასიათებს ფერეიდნულ დიალექტს, რომელიც, ერთი მხრივ, ინარჩუნებს კახურთან საერთო მახასიათებლებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინტენსიური და ხანგრძლივი კონტაქტის გამო არამონათესავე სპარსულთან განიცდის ძლიერ ინტერფერენციულ ზემოქმედებას. თითქმის ოთხსაუკუნოვანმა უშუალო ურთიერთობამ სპარსულთან კვალი დატოვა არა მხოლოდ ლექსიკურ ფენაზე, არამედ ფონემატურ და გრამატიკულ სისტემებშიც. შედეგად, ფერეიდნულმა დიალექტმა, კახურთან საერთო თავისებების შენარჩუნებასთან ერთად, განივითარა ისეთი ინოვაციები, რომლებიც მის დამოუკიდებელ დიალექტად ჩამოყალიბებას განაპირობებს.⁵

ფერეიდნული დიალექტის კვლევა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. თანამედროვე დიალექტოლოგიის პერსპექტივიდან იგი განსაკუთრებულ კვლევით მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან იძლევა შესაძლებლობას, დაკვირვების ქვეშ მოექცეს არა მხოლოდ ქართველური ენათა სტრუქტურული თავისებურებების შენარჩუნებისა და ტრანსფორმაციის პროცესები უცხოენოვან გარემოში, არამედ ენობრივი ადაპტაციისა და ინტერფერენციის მექანიზმებიც.

ჩვენი კვლევა ეყრდნობა ფერეიდნულ ტექსტებსა და მათ მეცნიერულ აღწერას, რომლებიც დღემდე ძირითადი წყაროს სახით გამოიყენება: არნოლდ

³ ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, წ. 1 (თბილისი: მეცნიერება, 1989): 290.

⁴ თედო უთურგაიძე, დარეჯან ჩხუბიანიშვილი და ჯემშიდ გიუნაშვილი, „დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში: ქართული ენის კახური დიალექტის ფერეიდნული კილოკავის მასალაზე“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები V (1981): 147.

⁵ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია: 219.

ჩიქობავას „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“,⁶ შ. ძიძიგურის „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონიურთ“⁷ და მ. ბერიძისა და ლ. ბაკურაძის მონოგრაფია „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი“.⁸ სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი ტექსტები და მათი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ფერეიდნული დიალექტის განვითარების დინამიკა და შევაფასოთ ცვლილებების მიმართულებები.

ფერეიდნულ დიალექტში სპარსული ნასესხობების გამოყოფისას გასათვალისწინებელია ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქართულმა ენამ ამ დიალექტის წარმოქმნამდე, ანუ მე-17 საუკუნემდე, შეითვისა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ყველა ერთეული/ნასესხობა შემოწმებულია ქართული ენის კორპუსში, რაც იძლევა საშუალებას, დადგინდეს მათი გავრცელების ისტორიული ეტაპები და ფუნქციური კონტექსტი. პარალელურად, მასალა შედარებულია მოგვიანებით წარმოქმნილ დიალექტებთან (მაგალითად, ინგილოური) და კილო-კავებთან. ამგვარად, შესაძლებელია, განვასხვაოთ ფერეიდნულისთვის სპეციფიკური სპარსული გავლენები იმ ირანული სესხებებისგან, რომლებიც ქართულში ადრეული პერიოდიდანვე დამკვიდრდა და მთელ ენობრივ სივრცეს მოიცავს.

ფერეიდნულ დიალექტში მრავლადაა წარმოდგენილი სპარსული ლექსიკური სესხებები, რომლებიც ინტეგრაციის პროცესში ემორჩილებიან ქართული გრამატიკის წესებს. მაგალითად, სპარსულიდან შემოსული მრავალი სიტყვა ქართულში იღებს სახელობითი ბრუნვის ინდიკატორს – სუფიქსს *-ი*. მაშინ, როდესაც სპარსულში მახვილიანი *-i* სუფიქსი გამოიყენება მიმართებითი ზედსართავი სახელების წარმოსაქმნელად, ხოლო უმახვილო *-i* სუფიქსი სიტყვას „განუსაზღვრელობის“ მნიშვნელობას ანიჭებს.⁹

ამ ეტაპზე ყურადღებას გავამახვილებთ რთული ზმნების სესხების შემთხვევებზე. ფერეიდნულმა დიალექტმა ახალი სპარსულიდან გადმოიღო რთული ზმნების სტრუქტურა და მოაქცია ისინი საკუთარი გრამატიკული სისტემის წესებსა და ნორმებში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ფერეიდნულის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ზმნის ანალიზური ფორმების წარმოქმნა. აღნიშნული თავისებურება განპირობებულია ახალი სპარსულის ე.წ. რთული ზმნების ანალოგიით,¹⁰ რაც მიუთითებს, რომ ფერეიდნული არა მხოლოდ ლექსიკურ, არამედ სტრუქტურულ დონეზეც განიცდიდა ინტენსიურ კონტაქტურ

⁶ არნოლდ ჩიქობავა, „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე VII (1927): 196-248.

⁷ შოთა ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონიურთ (თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1956).

⁸ მარინა ბერიძე და ლია ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი (თბილისი: მერიდიანი, 2020).

⁹ უთურგაიძე, ჩხუბიანიშვილი და გიუნაშვილი, „დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში“: 152.

¹⁰ დარეჯან ჩხუბიანიშვილი და ელენე გიუნაშვილი, ზმნის ფორმათა წარმოების ზოგი თავისებურება ფერეიდნულში, საენათმეცნიერო წერილები, ფერეიდნული ტექსტები ლექსიკონით (თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, 2012): 183.

ზეგავლენას. ამ პროცესმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დიალექტის გრამატიკული სისტემის სპეციფიკის ჩამოყალიბებაზე.

ისტორიულად, ძველი ირანული ენები ფლექსიური ტიპის იყო, მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურით. სახელური სტრუქტურა გამოირჩეოდა სამი სქესის ფორმით, რვა ბრუნვითა და ორი რიცხვით. ზმნების სისტემაში არსებული სხვადასხვა ფუძეებიდან წარმოიქმნებოდა პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და გვარის კატეგორიები.

უკვე აქამანურ ხანაში იწყება გრამატიკული სტრუქტურის რღვევის პროცესი, რომელიც სრულად ფორმირდება საშუალო ირანულ ეპოქაში. საშუალო ირანულ პერიოდში მორფოლოგია თანდათან ფლექსიური ტიპის მოშლას განიცდის: სქესისა და ბრუნვის კატეგორიები ნაწილობრივ ან სრულად იკარგება, რის შედეგადაც იზრდება ანალიტიკური კონსტრუქციების რაოდენობა და ცვლილებები ვლინდება სინტაქსშიც.

ახალი სპარსულის მორფოლოგიური სისტემა ანალიტიკურია: მასში აღარ არის სქესისა და ბრუნვის კატეგორიები, მათ ფუნქციას ასრულებენ წინდებულები, თანდებული -*rā* და იზაფეტური კონსტრუქციები. ზმნებს კი კვლავ აქვთ პირის, რიცხვის, კილოსა და გვარის კატეგორიები.

სპარსული ენის მორფოლოგიური სისტემისთვის დამახასიათებელია აგლუტინაციის მკვეთრად გამოხატული ნიშნები, როდესაც აფიქსი მექანიკურად უკავშირდება სიტყვის ძირს ან ფუძეს და სიტყვის დაშლა შემადგენელ ნაწილებად მარტივი ხდება. ყოველ აფიქსს ერთი გრამატიკული მნიშვნელობა აქვს და ყოველი მნიშვნელობისათვის კონკრეტული აფიქსი იხმარება, როგორც ქართულ ენაში. სპარსულში ამის მაგალითია არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება რამდენიმე აგლუტინაციური აფიქსის მეშვეობით. უფრო მკვეთრად ეს ლინგვისტური ტიპი გამოხატულია სპარსულ ზმნაში, რომლის უღლების მორფოლოგია სწორედ აგლუტინაციურ პრინციპს ემყარება.

რთული ზმნები ქართულშიც ფართოდ არის წარმოდგენილი და „აქ ბევრი მსგავსი თუ საერთო, ზოგადლინგვისტური და ზოგადტიპოლოგიური ან უნივერსალური ნიშან-თვისება და მახასიათებელია“. ამიტომ მათი არსებობა ფერეიდნულში არც უცხო და სრულიად ახალი მოვლენა არ არის. რთული ზმნის „ჩარჩოს“ პრინციპიც ქართულში ცნობილია, რადგან ის სხვა წევრებსაც ჩაირთავს. განსხვავება, ძირითადად, მხოლოდ იზაფეთის სისტემაშია, კერძოდ კი იმ ჯაჭვურ გაფართოებაში, რომელიც სპარსულ მოდელში განსაკუთრებულად მკაფიოდაა განვითარებული.¹¹

ფერეიდნულ დიალექტში ინტერფერენციის საკითხს თავის დროზე არნოდლ ჩიქობავაც შეეხო. მისი დაკვირვებით, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება სპარსული ზეგავლენა ფრაზების წარმოქმნაში: ხან ფრაზა ქართულ და სპარსულ სიტყვათა კომბინაციით იქმნება, ხან მხოლოდ ქართული ან არასპარსული ლექსიკური ერთეულებით, მაგრამ მთელი კონსტრუქცია მაინც სპარსულ მოდელს მიჰყვება. მაგალითად: *ხვალე რო მაიქნა... თილიფანი ვქნათ; ვაჭრობა ცქნათ; ჯავაბი ქენით; თაფრა ვქნთ* (შევეცადეთ), *ხოდაჰაფეზი ქნეს; მიქალი ვქნათ... ვერმის ჯორათი ვერ ექნა* (ვერავის ვერ გაებედა), *მუზადა არა*

¹¹ მაია სახოკია, თანამედროვე სპარსული ენის სინტაქსი და მორფოსინტაქსი ქართულენოვანთათვის: ტიპოლოგიური თვალთახედვის საავტორო გრამატიკა: ენობრივი სიახლეები და კოდოფიკაციური ინოვაციები (თბილისი: უნივერსალი, 2020): 418.

ვეწინით (არ დაგიჭირეთ რაიმე ნათხოვი, სათხოვარზე უარი არ გითხარი), ქართველებმა ნამაჲ ჳმა ქნეს (კარგი სახელი დაიგდეს), ეს ჳანს გაიტანსო (სულს გაიტანს, გადარჩება); უშსაყე გაველ (გონებიდან გაველ, გრძნობა დავკარგე)...¹² მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ფერეიდნულ დიალექტში ინტერფერენცია მხოლოდ ლექსიკურ დონეს არ მოიცავს. სიტყვების სესხების პარალელურად, ის შეეხება ფრაზათა სტრუქტურულ ორგანიზებასაც. ფერეიდნული დიალექტი არ შემოიფარგლება სპარსული წარმოშობის ლექსემების ინტეგრაციით, არამედ ითვსებს ფრაზების აგების წესებსა და კონსტრუქციულ მოდელებს.

ფერეიდნულ დიალექტში რთული ზმნების შესაქმნელად აქტიურად გამოიყენება რიგი ზმნური ფუძეები, რომლებიც სესხებით წარმოქმნილ სტრუქტურებში კომპონენტურ ელემენტებად ფუნქციონირებენ. ასეთ ფუძეებს შორისაა: ქონა, დაჭრა, ყოფნა, დადგომა, ზიდვა, კეთება, დაცხება, ქმნა, შექმნა, მიცემა და სხვ. ამგვარად ჩამოყალიბებული კონსტრუქციების თვალსაჩინო მაგალითებია: ზანგი დამცხე – ზარი დარეკა; ხეჯალათობას ეზიდებოდა – რცხვენოდა; აღდიღა დაიჭირეს – დანიშნეს.¹³

სპარსულიდან ფერეიდნულში ზმნური სესხების სტრუქტურები – ფერეიდნულ დიალექტში რთული ზმნების ფორმირებისას ერთ-ერთ ძირითად გზას წარმოადგენს სპარსული მოდელის გადმოღება და მისი ქართული გრამატიკული ნორმების შესაბამისად ადაპტაცია. ამ პროცესში განსაკუთრებით თვალსაჩინოა შემდეგი ნიმუშები:

1. სპარსული სახელადი ნაწილი + ქართული ზმნა:

დარსა ვკითხულოფ – ვმეცადინეობ #4095¹⁴ درس میخوانم [dars mixānam] ვმეცადინეობ درس [dars] გაკვეთილი, خواندم [xāndan] კითხვა

ყალიანს ეზიდებოდა; ყალიანს რო ეზიდებისო – ყალიონს ეწეოდა #4078 قلیان می کشید [galiān mikešid] ყალიონს ეწეოდა قلیان [galiān] ყალიონი, کشید [kešidan] ზიდვა

ფარყი არ არი (ფარყი არა აქ #4111) – განსხვავება არ არის #4078 فرق [farg] განსხვავება

ბეზრი ზაჳმათს ვეზიდე – ბევრი ვიწვალე #4081 زحمت کشید [zahmat kešidan] წვალება, ნერვიულობა زحمت [zahmat] წვალება, შრომა, کشید [kešidan] ზიდვა

ხეჯალათობა გამზიღა შენთანღო – შერცხვა #4093 خجلت [xejalat] სირცხვილი

მე ხოშად არ მამდის – #4079 خوش آمدن [xoš āmadan] მოწონება خوش [xoš] სასიამოვნო, آمدن [āmadan] მოსვლა

¹² ჩიქობავა, „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“: 218-219.

¹³ ჩხუბიანიშვილი და გიუნაშვილი, ზმნის ფორმათა წარმოშობის ზოგი თავისებურება ფერეიდნულში, 183; ბერიძე და ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი: 557.

¹⁴ რიცხვები აქ და ქვემოთ მიუთითებს აუდიო ჩანაწერის ნომერს ბერიძისა და ბაკურაძის, მონოგრაფიიდან.

ჩონაც გული თანგი გოქ – გვენატრება #4107 دلم تنگ است [delam tang ast] მენატრება دل [del] გული, تنگ [tang] ვიწრო, است [ast] არის

ზენდეგი უქნიათ (ზენდეგი მიქნია) – უცხოვრიათ #4096 زندگی کردن [zendegi kardan] ცხოვრება

სოჰბათი ქნია – უსაუბრიათ #4111 صحبت کردن [sohbat kardan] საუბარი صحبت [sohbat] საუბარი, کردن [kardan] კეთება

ჰასაბი გოქონდა – ანგარიში გვქონდა #4111 حساب [hesāb] ანგარიში

მარიზობა აყე – ავადმყოფობა აქვთ #4092 مریض [mariz] ავადმყოფი

რავაბეთი გავსხენით – ურთიერთობა დავიწყეთ #4089 روابط [ravabet] ურთიერთობა

დუნიაზე რო მოვიდოდა – რომ დაიბადებოდა #4081 به دنیا آمدن [be doniā āmadan] დაბადება به [be] -კენ, -ზე, دنیا [doniā] ქვეყანა, آمدن [āmadan] მოსვლა

მარიზი რო შაიქნებოდა – ავად რომ გახდებოდა #4081 مریض شدن [msriz šodan] ავად გახდომა

ნესბათი ქონდაყე – კავშირი ჰქონდა #4093 نسبت [nesbat] კავშირი, ურთიერთობა

ფარყი არა გაქთყე – არ განსხვავდებით #4079 فرق داشتن [farg dāštan] განსხვავება فرق [farg] განსხვავება داشتن [dāštan] ქონა

რაფტო შოდი გოქონდა – მიმოვდიოდით, მისვლა-მოსვლა გვქონდა #410 رفت و آمد [raft o āmad] მოძრაობა, კავშირი; شدن [šodan] გახდომა

ჩემთან აშნა იყო – ვიცნობდი #4107 با من آشنا بود [bā man āšnā bud] ვიცნობდი

ჯორათი არა ჟქნა – გაბედვა 4107 جرأت [jor'āt] გამბედაობა

ჯავაბს მიძცემყე – ვუპასუხებ #4107 جواب دادن [javāb dādan] პასუხის გაცემა

მაჯბური შაიქნა – იძულებული გახდა #4107 مجبور شدن [majbur šodan] იძულებული გახდომა مجبور [majbur] იძულება, شدن [šodan] გახდომა

ანდიშა გოქონდა – ვფიქრობდით; ვშიშობდით #4107 اندیشه [andiše] ფიქრი; შიში

ჯორათი არ გოქონდისყე – გამბედაობა არ გვქონდა #4107 جرأت [jor'at] გამბედაობა

ბოხარი აღგაო – ორთქლი აუვიდაო #4098 بخار [boxār] ორთქლი, კვამლი

წუხელის ფინაქი ვერა ძკარო – თვალი არ მომიხუჭავსო #4103 پینکی [pinaki] ჩაძინება

ჩაიმა უნდა დამი გაფიქდოსო. – ჩაი უნდა აღუდღესო #4103 دام کشیدن [dam kešidan] აღულება دام [dam] ამოსუნთქვა, کشیدن [kešidan] ზიდვა

ხაშმი დაიჭირაო – გაჯავრდაო #4086 خشم [xašm] ბრაზი

შაფალაღი შამოგდვას – სილა გაარტყას #4109 شپلاق زاد [šaplāḡ zadan] სილის გაწნა

ნაჰარათი შაიქნა – გაბრაზდა #4082 ناراحت [nārāhat] მღელვარე

2. სპარსული სახელი + ქართული მეშველი ზმნა:

ზანგია – ზარია #4095 گنج [zang] ზარი

მოალემია – მასწავლებელია #4095 معلم [mo'allem] მასწავლებელი

ხასისია – ძუნწია #4078 ძუნწი [xasis] خسیس

ავვალი ხარ – პირველი ხარ #4095 اول [avval] პირველი

ბიდარ ერიო – ღვიძავსო #4078 بیدار [bidār] ფხიზელი, მღვიძარი

ამის თახსირიო – ამის ბრალიო #4078 تقصیر [taḡṣir] ბრალი

შირიო – ლომიო #4111 شیر [šir] ლომი

შარმანდა ხარ – შერცხენილი ხარ #4111 شرمنده [šarmande] შერცხენილი, მორცხვი

მიტუნიო – შეგიძლიაო #4089 می توانی [mitavāni] შეგიძლია

ნარაათებია – გაბრაზებულები #4089 ناراحت [nārāhat] აღელვებული

ყადიმებია – ძველებია #4081 قدیم [ḡadim] ძველი

არ იყო ემქანათი – შესაძლებლობა არ იყო #4107 امکانی [emkāniat] შესაძლებლობა

ხალდი ბადბახტობაჩი იყო – ხალხი უბედურებაში იყო #4107 بدبختی [badbaxti] უბედურება

რასთია, ჩაფია – მარჯვენაა, მარცხენაა #4107 راست [rāst] მარჯვენა; چپ [čap] მარცხენა

ზირინგიაო – მოხერხებულიაო #4107 زرنگ [zerang] სწრაფი, მოხერხებული

დაგორ შოდო – დაგორდაო #4111 شدن [šodan] გახდომა

ფარყი არა აქ – განსხვავება არ აქვს #4107 فرق [farḡ] განსხვავება

აიბი არაა – სირცხვილი არაა #4084 عیب [eib] ნაკლი; სირცხვილი

3. სპარსული კონსტრუქციის ქართული თარგმანი (მთლიანად ქართული)

ჯელი რო ვერ მიწვდის – ხელი არ მიმიწვდება #4087 دست نمی رسد [dast nemiresad] ხელი არ მიმიწვდება دست [dast] ხელი, رسیدن [residan] მიწვდენა

ხელი არა აქ – არაფერ შუაშია #4078 دست داشتن [dast dāštan] კავშირის ქონა دست [dast] ხელი, داشتن [dāštan] ქონა

ხუმრობა გოუკეთოთ – ვეხუმროთ #4111 شوخی کردن [šuxi kardan] ხუმრობა شوخی [šuxi] ხუმრობა, کردن [kardan] კეთება

ღმერთმა შაგინახოს – კარგად იყავი #4081 نگهدار [xodā negahdār] ნახვამდის

თარგმანი ქნას – თარგმნოს #4106 ترجمه کردن [tarjome kardan] თარგმნა

იმის გულს ადგილზე მოიტანო – იმის გულს იცნობო #4106 به جا آوردن [be jā āvardan] ცნობა به [be] -კენ, -ზე, جا [jā] ადგილი, آوردن [āvardan] მოტანა

ჩემ ცხირზე ვიყო – ჩემს ხასიათზე ვიყო #4079 سر دماغ بودن [sare damāg budan] ხასიათზე ყოფნა سر[sar] -ზე غما [damāg] ცხვირი, بودن [budan] ყოფნა

ღმერთმა კარი ღია მოქცეს – ღმერთმა ხელი მოგიმართოს #4079 کند [xodā dar rā bāz konad] ღმერთმა ხელი მოგიმართოს خدا [xodā] ღმერთი, را [dar] კარი, باز کردن [bāz kardan] გაღება

ჰმა ქნა – დაუძახა #4107 صدا کردن [šedā kardan] დაძახება صدا [šedā] ხმა, کردن [kardan] კეთება

ლაქა დაფარდებისო – დაილაქება #4107 لك افتادن [lak oftādan] დალაქავენ; افتادن [oftādan] დაჰარდნა

ცხვირზეც არიო – კარგად არიო #4086 بودن [sare damāg budan] კარგ ხასიათზე ყოფნა, غما ცხვირი

გარდა რთული ზმნებისა, გამოიყოფა ინტერფერენციის ასეთი შემთხვევებიც:

4. სპარსული სახელური ძირით იწარმოება ზმნური ფორმა და ქართული ენის ზმნის უღვლების სისტემაშია მოქცეული:

არ იყაბუღეს – არ დათანხმდნენ #4078 قبول نکردند [ğabul nakardand] არ დასთანხმდნენ قبول [ğabul] თანხმობა, کردن [kardan] კეთება, نه [na] არა

იკლიტებოდა – იკეტებოდა #4100 کپد [kelid] გასაღები კლიტე

მოურანგირებია – შეუღებავს #4111 رنگ [rang] ფერი

გოუზახმოს – ჭრილობა მიაყენოს #4108 زخم [zaxm] ჭრილობა

ჩაკოლავდეს / ჩაქორავდეს – დაბრმავდეს #4093 کور [kur] ბრმა

დანარმისყდა – დაარბილებს #4107 نرم [narm] რბილი, ნაზი

დავფაბილოთ – დავბაროთ #4077 بارو [pāru] ხის ნიჩაბი, بیل [bil] ბარი

გაიშერიქოთყედა – დაიამხანაგოს, წილი ერგოს #4107 شریک [šerik] მონაწილე, კომპანიონი, ამხანაგი

ფაქდების, გაფაქდეს – სუფთავდება #4107 پاک [pāk] სუფთა

გოოჯუფტოთ – დავაწყვილოთ #4107 جفت [joft] წყვილი

დაჰყონადვენ – დაპატიჟებენ #4107 قنق [q'onoq'] იმჟ. სტუმარი; მოგზაური ყონად ფორმით არის: ინგილოურში, მე-20 მხ. ლიტ. და თუშურ დიალექტშიც

გავაფაქოთ – #4107 پاک [pāk] სუფთა

თირზანაობდითყე – #4101 تیر [tir] სროლა; زان-داد [zadan - zan] დარტყმა

დაკლიტა – დაკეტა #4098 გასაღები, კლიტე [kelid] كيد დასტურდება: რუსუდანიანი (1600-1700), ვისრამიანი (1100-1200)

აჯუშეფს – მიაღუღებს #4109 جوشيد [jušidan] დუღილი

დასკვნა

როგორც ჩვენი ანალიზი ცხადყოფს, სპარსულის გავლენით ფერეიდნულ დიალექტში ზმნების სესხება მრავალგვარად არის წარმოდგენილი – როგორც პირდაპირი, ისე სრული ან ნაწილობრივი ფორმებით. ეს პროცესები არა მხოლოდ ლექსიკურ, არამედ მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე ვლინდება. ფერეიდნული ქართველების ირანულ გარემოში ოთხსაუკუნოვანი ცხოვრების შედეგად, მათი მეტყველების ფსიქოლოგია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის: ქართული გრამატიკული სტრუქტურა შენარჩუნებულია, თუმცა აზროვნებისა და ფრაზის აგების წესები ირანული ენობრივი სივრცის გავლენით არის გარდაქმნილი.

ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ეს შემთხვევა ერთ რიგში დგას სხვა ენათა ინტერფერენციის მაგალითებთან (მდრ. ინგლისურისა და ფრანგულის, სკანდინავიურის, კავკასიურ ენათა, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გავრცელებულ ენათა და სხვ. კავშირები). ფერეიდნული ქართულის მეტყველება ქართულია, მაგრამ აზროვნების სტრუქტურაში ირანული მოდელი მკაფიოდ იკითხება. სწორედ ზმნების, და განსაკუთრებით რთული ზმნების, სესხების შემთხვევები ამ კულტურულ-ენობრივი შერწყმის ყველაზე ნათელ და სარწმუნო ნიმუშს გვთავაზობს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ანდრონიკაშვილი, მზია. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. ტ. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა, 1966.
2. ბერიძე, მარინა და ბაკურაძე, ლია. *ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი*. თბილისი: მერიდიანი, 2020.
3. ბერიძე, მარინა, ბაკურაძე, ლია და ნახუცრიშვილი, ნიკოლოზ. *ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი: (ქართული დიალექტური კორპუსი)*. თბილისი: 2018.
4. ჯორბენაძე, ბესარიონ. *ქართული დიალექტოლოგია*. წ. 1. თბილისი: მეცნიერება, 1989.
5. ჩიქობავა, არნოლდ. „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი.“ ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე VII (1927): 196-248.
6. ჩხუბიანიშვილი, დარეჯან და გიუნაშვილი, ელენე. *ზმნის ფორმათა წარმოების ზოგი თავისებურება ფერეიდნულში. საენათმეცნიერო წერილები, ფერეიდნული ტექსტები ლექსიკონით*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, 2012: 183.
7. ძიძიგური, შოთა. *ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ*. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1956.

8. სახოკია, მაია. თანამედროვე სპარსული ენის სინტაქსი და მორფოსინტაქსი ქართულენოვანთათვის: ტიპოლოგიური თვალთახედვის საავტორო გრამატიკა: ენობრივი სიახლეები და კოდოფიკაციური ინოვაციები. თბილისი: უნივერსალი, 2020.
9. უთურგაიძე, თედო, ჩხუბიანიშვილი, დარეჯან და გიუნაშვილი, ჯემშიდ. „დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში: ქართული ენის კახური დიალექტის ფერეიდნული კილოკავის მასალაზე.“ ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები V (1981): 147-153.